№ 234 16 ნოემბერი, ხუთშაბათი 1866—1873 16 ნოემბერი, ხუთშაბათი № 234

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** ... წლისა—8 მან., ნ. ხევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს ...

**ფასი განცხადებისა:** ... ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

1 ნოემბრიდამ წლის დამლევამდინ

## „დროება"

ღირს ორ მანეთად

**ხელის-მოწერა** შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба"*.

# საქართველო

## დღიური

*** თფილისში იმყოფებიან ამ ჟამად რამდენიმე ავსტრიის აფიცრები, რომელნიც თეირანში მიდიან. ესენი გაგზავნილი არიან სპარსეთში ავსტრიის იმპერატორისაგან, რომელსაც შაჰიმ სთხოვა ვენაში ყოფნის დროს, რომ თავის ჯარების გასაწრთვნელად გამოუგზავნოს მას რამდენიმე აფიცერი.

*** ხეირიანი ხმები არ გვესმის იმ რევიზორზე, რომელიც უეწ. სინოდმა გამოგზავნა ჩვენში სასულიერო სასწავლებლების დასახედავათ. მოგეხსენებათ, რომ ქუთაისის გუბერნიის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველთა მისცა იმან წინადადება, რომ ქართული ენის გაკვეთილები შეამცირონ და მაგიერად რუსულ ენას მოუმატონ.

ამგვარადვე მოქმედობს ის აქაურ სასულიერო სემინარიაში და სასწავლებლებშიაც. ჩვენ გვითხრეს, რომ ამ დღეებში უფ. რევიზორი დასწრებია სას. სემინარიაში ქართულის ენის ერთს გაკვეთილზე, მაგრამ ერთ წამსაც არ დარჩენილა.. საზოგ დოთ ყოველ შემთხვევაში ცდილობს თურმე უჩვენოს ყველას, რომ ქართული ენის სწავლა სულ არაღ, სულ უმნიშვნელო და უსარგებლო საგნათ და დროს დაკარგვად მიაჩნია.

გვიამბეს აგრეთვე, რომ როცა საქმელ-სასმლის თაობაზე დაუწყვია სემინარიის შაგირდებისათვის გამოკითხვა, უფ. ინსპექტორი პუშინსკი თავზე ადგა შაგირდებსაო და ამათ მაგივრად ის ლაპარაკობდაო, არ აცლიდა შაგირდებს სიტყვის თქმასაო...

უფ. რევიზორმა მოაგროვა „დროების", „თფილისის მოამბისა" და „ობზორის" ნომრები, რომლებშიაც რამე ეწერა საზოგადოთ ჩვენებურ სასულიერო სასწავლებლებზე და განსაკუთრებით თფ. სას. სემინარიაზე.

ჩვენ ძალიან ცოტა იმედი გვაქვს, რომ ის რიგიანად გამოაყენებს იმ ცნობებს, რომელნიც ხსენებულ გაზეთებში იყვნენ მოყვანილნი და გამოაშკარებულნი ჩვენებურს სასულიერო სასწავლებელთა წესებზე და მდგომარეობაზე..

*** ამ უკანასკნელ დროს, რუსის თამბაქოს ფაბრიკანტების მიბაძვით, ჩვენმა მეთამბაქოებმაც შემოიღეს პაპიროზის მუნშტუკზე სხვა-და-სხვა გამოჩენილი კაცების გამოხატვა. ზოგ პაპიროსებზე გამოხატულია ლენ. ჩერნიაევი, ზოგზე რადეცკი, სკობელევი და სხვ. ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში უფ. აზნაუროვის ფაბრიკის პაპიროზები, რომლებზედაც გამოხატულია თამარ დედოფალის სურათი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთ დროს ქართულის ენის მასწავლებელი ქუთაისის გიმნაზიაში უფ. გ. დიდებულიძე ცალკე წიგნად აბეჭდვინებს თავისგნით ნათარგმნს მოთხრობას, სახელად „პასტორის ცხოვრება", რომელიც ადრინდელ „ცისკრის" ნომრებში იყო დაბეჭდილი.

# ფელტონი

## მოგზაურობა საინგილოში

ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას საში ახალგაზდა ცხენოსანი სოფ. ქახიდან მიაქენებდნენ თავის რაშებს დასავლეთისკენ; თვითქო რაღაცას გაძოჰკიდებიანო, ეგონებოდა კაცს.

მხოლოთ ხანდისხან ქენობას შესწყვეტავდნენ ხოლმე და ცხარე ლაპარაკით და ერთმანერთში ბაასით ცხენებს მალა თრახებით ანიშნებდენ სიარულის გაჩქარებას..

ყველა შეატყობდა, რომ ამათ ჰყავს თავისი ატამანი—უფროსი, რადგან გზაზე სიარულში ორივე მხრით მას ფეხ-და-ფეხ მისდევდნენ ორი სხვა მგზავრი და მალლა ხმით საუბარი ამ უფროსს არ შეუწყვეტია.

— ეს ნანგრევები რა დრონდელია და ვის განადგურებულია, რომ აგრე საბრალო მდგომარეობაში ვხედავთ ეხლა ჩვენ? უთხრა ატამანს ერთმა მის მგზავრთაგანმა და ანიშნა სოფლის ყუმის ბოლოში მყოფი შენობების ნანგრევები, სახელდობრ საპონჩი.

— რა დრონდელია, ვისი განადგურებულია!? რა მოგახსენოთ, ჩემო ძმებო! ჩვენი საქართველოს ჩარხი მეტათ უილბალოთ ტრიალებს. თითქოს ღმერთს განუწირავს ამ ერთი მუჭა ხალხის ბედი...

„აი ე მაგ ნაშთს, მიუთითა ძველებურ საყდრის ნანგრევს, ნუ თუ არ შეუძლიან გააღვიძოს ქართველი კაცის გულში თბილი სიყვარული დიდებულ წინაპართადმი და მხამი იმავე დროს იმ მრავალ მტერთადმი, რომელთაც ბოლო მოუღეს გმირულ მამათა და მათ ბრწყინვალე ცხოვრების სახსოვრად დაგვიტოვეს მშვენიერი ვიზანტიური შენობების და იარაღის ნაშთები მიწაში დაფლილნი და მიწის პირზე მყოფი.

„აქ, გააგრძელა იმავემ, ერთ დროს ყოფილა დიდი ქალაქი, სახელად ყუმი. ამაში გვარწმუნებს ჩვენ, გარდა ზეპირათ ხალხის ენით გარდმონაცემისა, ჩვენი „ქართლის ცხოვრებაც". ამავე წიგნში ვკითხულობთ, რომ აიმ ადგილას, საყდრის თავში, დიდის ამბით და ტირილით ერთ დროს საქართველოს ხალხს განუსვენებია თავისი მეფე *). ამ მშვენიერი მთების კალთებზე თურმე მაშინ ყვაოდა ცხოვრება.. აი შეხედეთ იმ ქოჩორა მთის წვერას, რომელიც დევივით ჩამოჰყურებს გარშემოს; იქ თქვენ ხედავთ მაღალს კოშკს. ის კოშკი ყოფილა ეკკლესია, რომელშიაც თურმე წირვა-ლოცვა არ აკლდებოდა, როცა გაზვიადებული მტერი შამოესეოდა ამ ქვეყანას და ხალხი გაიხიზნებოდა ტყე-ღრეში. აქავე თქვენ ნახავთ მიწაში დაფლულ ქვევრებს, დიდრონ და მოხუცებულ ნიგვზის ხეებს, მსხლებს, ვაშლებს თხილის ბუჩქებს, ძველ ვაზებს, და სხვა;—ყველა ესენი ჩვენი წინაპარისაგან დარგულია და გაკეთებული.. მაგრამ ახლა სად არიან იგინი, ვინ იხსე-

*) ვგონებ, გიორგი.

ავტ.

** ერთგული გამომცემელი ქართული პატარა, სახალხო წიგნებისა უფ. ზ. ჭიჭინაძე აბეჭდვინებს ამჟამად „თ. ალექსანდრე ჯამბაკურიანს ორბელიანის ნაწერებს", რომელიც, როგორც გვითხრეს, კარგა ვრცელი ტომი გამოვა.

** ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ იქაურ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ამ მოკლე ხანში შვიდი მოწაფე გამოურიცხავს ამ სასწავლებლიდამ.

---

## წესდება

## ქუთაისის სასწავლებლების გაჭირვებულ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოებისა.

მთავარ-მართებლის თანაშემწემ ინება ამ წესდების დამტკიცება 20 მაისს 1878 წელს.

მთავარ-სამმართველოს უფროსი ღენერალ-ლეიტენანტი სტაროსელსკი.

§ I. ამ წესდების საფუძვლებით დაარსებულ საზოგადოებას აქვს მიზნად დაეხმაროს ქუთაისის სასწავლებლებში ყველა წოდებისა და სარწმუნოების ღარიბ მოსწავლეთა.

§ II. საზოგადოების ღონის-ძიება შემდეგი წყაროებისაგან შესდგება: ა) წევრების ყოველ წლიურ შემოტანილ ფულიდგან, ბ) შემოწირულ ფულიდგან, გ) ბალებისა, კონცერტებისა და წარმოდგენაების შემოსავლიდამ, რომელსაც გამართავს საზოგადოება, და სხვა კანონიერ საშუალებიდგან.

§ III. საზოგადოება შესდგება ორივე სქესის საპატიო, ნამდვილ და მუდმივი წევრებისაგან. ამათი რიცხვი განუსაზღვრელია.

§ IV. ნამდვილი წევრის სახელი ეწოდება ისეთს პირს, რომელიც ყოველ წელიწადს შემოიტანს არა-ნაკლებ სამის მანეთისა.

§ V. საპატიო წევრის სახელი, საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით (§VIII), მიენიჭება ყველას, ვინც საზოგადოებას მოეხმარება თავის მიზნის (§ 1) აღსრულებაში ან დიდ-ძალი ნივთიერი შეწირულებით, ანუ თავის სასარგებლო მოქმედებით.

§ VI. წევრებს შეუძლიანთ რამდენიმე წლის ფული წინათვე შემოიტანონ და ამ შემთხვევაში ვინც ათ თუმანს ანუ მომეტებულს შემოიტანს, სამუდამო (სანამ ცოცხალია) წევრად ითვლება.

§ VII. საზოგადოების საქმეებს განაგებს: წევრთა საზოგადო კრება, გამგებელი კომიტეტი და რევიზიის კომისია. წევრთა საზოგადო კრების თავსმჯდომარე გამოირჩევა ერთის წლის ვადით საზოგადო კრებისაგან.

§ VIII. საზოგადო კრება ორ გვარია: ჩვეულებრივი და უჩვეულებრივო. პირველი შეიკრიბება მუდამ წელიწადს სექტემბერში ანუ ოქტომბერში გავლილი წლის ანგარიშის განსახილველად და დასამტკიცებელად, გამგებელი კომიტეტისა და რევიზიის კომისიის წევრთა ამოსარჩეველად, საპატიო წევრების კენჭის-საყრელად და აგრეთვე იმ საშუალებებზე მოსალაპარაკებელად, რომელნიც საზოგადოების წარმატებისათვის საჭირონი არიან. უჩვეულებრივო კრება კი მოიწვევა მხოლოთ იმ შემთხვევაში, როცა გამგებელი კომიტეტი გადაწყვეტს ანუ როდესაც ყველა წევრთა მეოთხედი ნაწილი, ანუ საზოგადოების ოც-და-ათი წევრი გამოუცხადებს გამგებელ კომიტეტს.

შენიშვნა ა. წესი საზოგადო კრების მოწოდებისა, ამ კრებაზე საქმეების განხილვისა და აგრეთვე საქმის წარმოებისა და გამგებელის კომიტეტისაგან და რევიზიის კომისიისაგან ანგარიშის წარდგენისა განსაზღვრული უნდა იქმნეს იმ დარიგებით (ინსტრუქციით), რომელსაც შეადგენს გამგებელი კომიტეტი და დაამტკიცებს საზოგადო კრება.

შენიშვნა ბ. წლიური ანგარიში საზოგადოებისა, საზოგადო კრებისაგან დამტკიცების შემდეგ, ერთს ადგილობრივს გაზეთში დაიბეჭდება.

(დასასრული შემდეგ №-ში)

---

## „დროების" კორრესპონდენცია

---

**ქუთაისი, 12 ნოემბერს.** ამ თვის 16, 17, 18 და 19 არის ქუთაისში დანიშნული ჩვენი სამღვდელოების ყრილობა სასულიერო სასწავლებლის შესახებ საქმეებზე. ყოვლად-სამღვდელო თავის ცირკულიარში უცხადებს ყველა ბლაღოჩინებს, რომ უთუოდ მოვიდნენ ყრილობაზე ყველა დეპუტატები, თორემ დაისჯებიანო.

უმთავრესი საგანი, როგორც ცირკულიარიდამ სჩანს, არის ის, რომ დეპუტატებმა გარდასწყვიტონ შაგირდებისათვის საზოგადო ბინის—სახლის აშენება, რომელზედაც ვგონებ რვაჯერ აქვს მიცემული დეპუტატებს წინადადება!..

ყველა ზედამხედველებს, როგორც მოგეხსენებათ, ეხლა არაფერი არ აწუხებს ისე, როგორც სამღვდელოების ყრილობასთან საქმის დაჭერა, და განსაკუთრებით სამღვდელოების მხრით არჩეულ წევრებთან. თუ ღმერთი გასწყრა და იმისთანა პირები აურჩია წევრებად სამღვდელოების ყრილობამ უ. ზედამხედველებს, რომელთანაც კარგი გაწყობილებით არ არიან, შენი მტერი, როგორც ისინი მწუხარებაში არიან ხოლმე.

მეტის-მეტათ ეზარებათ ეხლანდელ სასწავლებელთ ზედამხედველებს როდესაც მათ თავის ნებაზე არ შეუძლიანთ სამღვდელოების ფული ხარჯონ. ამისთვის რა შფოთია თითქმის ყველგან სასწავლებლების სამართველოს წევრებს

---

ნიებს მათ და ვინ ლოცავს? სამწუხაროა ყველა ამეების ნახვა და მოგონება......

„ყველა ეს ჩვენ ნათლად გვარწმუნებს, განაგრძო იმანვე, რომ ერთ დროსა დიდი ხნის განმავლობაში ყველა ეს მთის ფერდოები ქართველებით ყოფილა ნასახლარი და გამშვენიერებული. თუ ეხლა აქ, სადაც მტერმა ქვა-ქვაზედ არ დასტოვა, დარჩენილა ამისთანა სიმშვენიერე და პოეტიური სილამაზე, აბა რა გვარი დიდებული სახე ექმნებოდა ამ გაობლებულ ქვეყანას, მაშინ როდესაც ყვაოდა და კაშკაშებდა!.. ქალაქი ყუმი ერთ დროს სატახტო ქალაქი ყოფილა; ეხლა უბრალო და ღარიბი სოფელი გამხდარა... მაგრამ ეს იგრე გულ-მოსაკლავი არ იქმნებოდა ჩვენთვის, თუ სოფლის მცხოვრები ქრისტიანები ყოფილიყვნენ და არა ლეკები ანუ მონგოლები. რადგან როგორც პირველნი, იგრეც მეორენი არიან ნარჩომნი იმ ურიცხვ და გაზვიადებულ მტრისა-მონგოლისა, რომელმაც მე-XII საუკუნის ბოლოს მოუშვინა თავისი მამაკვდარი დროშა მთელს ქართლ-კახეთს და ზარეთ-კახეთს, უმეტესად საქართველოს შვილთა ლეკვ წართმეულ ძუ ლომივით ებრძოლეს ამ კაცთა სიმრავლეს, აზიის შუა გულიდგან გარდმოხვეწილებს, მაგრამ რას უზამდნენ, როდესაც მტერი ათი მოკლულის მაგივრათ მაშვრალ ქართველს წინ უყენებდა ასს ფხიზელ და დაუღალავს მონგოლს! მწარე და საგლოვო იყო მე-XIII, მე-XIV, მე-XV და შემდეგი საუკუნეები ჩვენი ზარეთ-კახეთისათვის! ზანშორებული საქართველოს მეფეებისაგან, თვით ულონოები და გარშემო ათასნაირი მტერი.. სულთანი, ლეკი, სპარსი, თურქი და სხვ. არბევდნენ და ქლეტავდნენ აქაურ ხალხს და ლამობდნენ აღმოეფხვრათ რჯული ქრისტესი, ყოველი ჩვეულება და მაგივრათ მაჰმადის რჯული და სწავლა შემოეღოთ. წადილი დროთა ბრუნვისა გამო აღასრულეს, მაგრამ ამის სისრულეში მოსაყვანად ბევრი დრო გავიდა და ბევრი ქრისტიანი ქართველიც დაიღუპა, რადგან აქაც, როგორც ყველგან საქართველოში, ქრისტიანობას გაეშვა მკვიდრი ფესვები და აქაურ ქრისტიანობასაც ღრმად ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი სიყვარული და რწმენა ამ რჯულისადმი.

„რა დრო იყო ის დრო!.. ღმერთო, ავაცილე კიდე ოდესმე იმ გვარ დღეს: სპარსეთის შაჰის სპასალარები რომ შემოისეოდნენ საქართველოს, პირველათ ჩვენ ზარეთ—კახეთს აოხრებდნენ და მერე ქართლ-კახეთს მიესეოდნენ ხოლმე..

„მტრების წასვლისავე უმალ ქართველები მამაცურად აგებდნენ კიდე შენობებს და ქალაქებს, მაგრამ მალე მტერი ხელ-ახლად მოვიდოდა ხოლმე და ანგრევდა.

„ასე ამ ბრძოლაში და ვაი-ვაგლახში აქაური ხალხი ნელა-ნელა ამოწყდა და ნელა-ნელა დაკარგა თავისი სჯული, ენა და უწინდელი ჩვეულებანიც.

„...ეხლა ხომ ინგილოები ქართველები არიან. ჰგვანან ეგენი უწინდელ მძლავრს და გმირულ ქართველებსა? ჰგვანან

შორის ყველამ იცის. სასწავლებლის ზედამხედველები ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ, რომ სამღვდელოებამ ამოირჩიოს იმისთანა თავსმჯდომარე ყრილობაზე და იმისთანა წევრები, რომელთანაც კარგი განწყობილება ჰქონდესთ, ანუ შეიძლებოდეს მათი დათანხმება...

ჩვენს სასწავლებელში, ყველამ იცის, იყო უთანხმოება, მაგრამ საზოგადო საქმის სარგებლობისათვის და არა სხვისთვის... უ. ასათიანს ძრიელ სწყინდა, რომ სამღვდელოები ერთხმით ირჩევდნენ ერთ სამღვდელო პირს თავსმჯდომარედ ყრილობაზე და წევრადაც სამართველოში. ბევრი საშუალება იხმარა ამ წევრის გული მოეგო, მაგრამ რო ვერა გააწყო-რა, ისევე სხვა ხერხი გამოძებნა და, უუ. ქუვშინსკის და პოტოცკის წყალობით მოახერხეს ისე, რომ ეს წევრი და სხვა მისი ამხანაგებიც არასოდეს აღარ მიეღოთ სამღვდელოებს სასწავლებლის რამე თანამდებობაზე, რასაკვირველია, რადგან უ. ასათიანს აწუხებდნენ!.. ამის შემდეგ ეშველა ასათიანს. უკანასკნელ ყრილობაზე სამღვდელოებამ თავსმჯდომარედ ამოირჩია ისეთი პირი, რომელიც მას მოსწონდა...

წარსული წლის „დროების“ ერთ №-ში იყო გამოცხადებული დეპუტატებისაგან ყურადღების მისაქცევი საგნები. სხვათა შორის იყო ნათქვამი: „დეპუტატებმა უნდა მოსთხოვონ ზედამხედველს—რა უყო ის 106 მან., რომლის შექმა და წაღება დაუმტკიცეს მას წევრებმა? სად არის ჩაწერილი ის ფულები, რომელიც თავისი მონათესავე შაგირდებისთვის უნდა გარდაეხდევინებინა სწავლის ფულებისთვის ყრილობის გარდაწყვეტილებისამებრ? სად არის ის 444 მან., რომელიც წინანდელს ზედამხედველს გამოერთმია დეპუტატებისთვის, და წიგნში კი არ ჩაეწერა? სად არის 78 მანეთი, რომელიც სასწავლებლის სამართველომ უკანონოდ მისცა ერთ ვიღაცა პირს, ვითომ სასწავლებლის შემოსავლობავად?“ და სხვანი და სხვანი. ამაზე დეპუტატებმა რომ დაიწყეს ლაპარაკი უ. თავსმჯდომარემ ეს კითხვები დაფარა და დეპუტატებს გამოუცხადა: „მოდი ერთი ქება შევასხათ უ. სმოტრიტელს, რომ ძლიერ კარგად მსახურებსო!“ და ხელში მიაჩეჩა მათ დიდიხნით წინეთ შედგენილი, ჩაის სმის დროს, სიგელი ამ საგანზე; მაგრამ, რომ არავინ მოაწერა ხელი, დარჩა სიგელი დეპუტატებისაგან ხელ-მოუწერელი. მაგრამ ზედამხედველი მაინც გამარჯვებული დარჩა, რადგან წევრებს თავისი მეგობრებთაგანი აარჩევინა დეპუტატებს სასულიეროს მხრით.

რამდენჯერ იყო გამოთქმული ერთი წევრისაგან ოთახების გამონახვა სასწავლებელშივე, მაგრამ ვინ მიაქცია ყურადღება? იმას არ გაუგონეს და ორი ათასი მანეთი ტყუილა დახარჯეს ქირათ დეკანოზის ზამრეკელოვის სადუქმე ოთახებში...

ყველა ამისთანა მოქმედებას კარგად ხედავენ სამღვდელოების დეპუტატები და აღარ მოდიან ყრილობაზე, და, ვგონებ, ჯარიმის შიშმაც არ მოიყვანოს იგინი სრულებით.

ჩვენი სასწავლებელი ისე გატენილია შაგირდებით, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი გაუყოფლობა და მეორე ოთხკლასიანი სასწავლებლის აუშენებლობა, და ამ დროს დეპუტატებს აძლევენ წინადადებას საზოგადო ბინის აშენებაზე! ძრიელ მაკვირვებს ასე მოუფიქრებელი წინადადება. ამ სახლის აშენებას მოუნდება უკანასკნელი 20,000 მან. და სად აქვს ეს ფული სამღვდელოებას? წარსულ წელში კიდევ ასე უთავბოლოდ მოინდომა უ. ასათიანმა მეხუთე კლასის გაკეთება და აბა რა გამოვიდა?...

როგორ არ უნდა გეწყინოს კაცს, როდესაც ამისთანა ფუქი და ცუდ მოქმედებას ხედავ ზოგიერთი [illegible] როგორ არ გაგიკვირდება, [illegible] ნა მოქმედებისათვის კაცები ჯილდოვდებიან და მართლის მთქმელები კი ისჯებიან? მაგრამ რა გაეწყობა! ასე ყოფილა და ასე იქმნება აწიც. ეს გახლავს ნაყოფი ახალი წესდებისა.

N. N.

P. S. ვაფრთხილებ ყველა დეპუტატს, „დროება“ არავინ შეიტანოს სასწავლებელში, თორემ დასჯიან, რადგან ფიცხლად აკრძალულია ამ გაზეთის კითხვა თფილისის სემინარიის სამმართველოსაგან, რომ არ გაიგონ სხვებმა, რაც მაში იბეჭდება!.

N. N.

# უცხო ქვეყნები

## ინგლისი

„კელნის გაზეთში“ ვკითხულობთ: „ძალიან ადვილად მოსალოდნელია, რომ ინგლისსა და რუსეთს შუა ინდოეთისაკენ მოხდეს შეტაკება. რუსეთს სრულებით ისე არ გაუჭირდება ინდოეთში და ავღანისტანში გაგზავნა თავის ჯარებისა, როგორც ზოგიერთები ჰფიქრობენ. ნუ დაივიწყებთ, რომ იმას ჰყავს კავკასიაში ასი ათასი ყოვლად დამზადებული ჯარი, რომელიც ადვილად შეუძლიან კასპიის ზღვით გაგზავნოს მდ. ატრეკის ჩასართავამდინ და იქიდამ კი პირ-და-პირ მერვამდინ“.

## ოსმალეთი

უცხო ქვეყნის გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ მითხად-ფაშის დანიშნვას სირიის გენერალ-გუბერნატორად. „ეს გარემოება ცხადათ ამტკიცებსო, ამბობს პარიჟის „ჟურნალ დე-დება“, რომ ხონთქარს გულ-წრფელად ჰსურს ნამდვილად შემოიღოს რეფორმები და

---

ეგენი იმათა, რომელთაც თავისუფლებისათვის იბრძოლეს რამდენიმე საუკუნეს და ბოლოს თავი გარდააკლეს თავის მამულსა? სრულიადაც არა. ენა რაღაც ყმაწვილის ღიღინს უგავთ, აგრეთვე ხასიათიც. ზარდა ამისა უწინდელების სივაჟკაცის მაგიერად ეგენი გამხდარან ქურდები და კაცის ღამე-ღამე მკვლელები. უწინდელი თავდადებული მუშის მაგიერათ ეგენი გამხდარან ზარმაცნი და დაუდევარნი. ეგენი სცდილობენ დღეს გაიძღონ კუჭი, ხვალინდელ დღისთვის ხვალ იფიქრებენ და სხ. უწინდელი ქართველი კი სხვა ყოფილა.

„... მაგრამ იმას ვამბობდი, რომ სამწუხაროა; რომ ყველა ეს ჩვენი მამა-პაპის მამული უჭირავს მონგოლების ჩამომავლობას, რომელნიც დასახლდნენ ქ. ყუმში მაშინ, როცა ამოსწყვიტეს ქართველები.

„მაგრამ ინგილოები კიდე ისრე არ არიან განშორებულნი ქართველებს, როგორც სხვა სოფლები ზაგან არიან იმისთანა უწინდელი ქართველების ჩამომავლობა, რომ ვერაფრით ვერ შეატყობ რომ ეს ქართველი კაციაო და ანუ ქართველის სისხლ-ხორცით შეზავებულიაო. აი მაგალითებრ ავიღოთ სოფ. ბელოქანის მცხოვრებლები. თუმცა ძველებური ნაშთი გვ ჩვენებს, რომ აქ ერთ დროს ქრისტიანი ხალხი ყოფილაო და მას აუშენებია მრავალი ეკლესიები თვით ამ სოფელში და ტყე-ღრეშიაც, მაგრამ თვით აქ მცხოვრებლებში კი არც ერთი ნამცეცი არ დარჩომილა ქართველური, ჩვენებური. ყველა ამ ქართველებს გვარებიც შესცვლიათ ანუ, სჯობია ვსთქვათ ფანატიკოსებს შეუცვლიათ, რომ არც ერთი ნიშანი არ დარჩომილიყვეს ამათ ქართველთაგან ჩამომავლობისა. ეხლა კი ეს სოფელი უფრო-და-უფრო მოლბა და ნელა-ნელა სცნობს თავის დაკარგულს თავს: ერთი გამოჩენილი გვარის შვილი უფ. მურტუზალი ზალაჯევი მშვენივრად განათლებული ამ წინა წლებში დაეძებდა თავის ჩამომავლობას; ბევრის მეცადინეობის შემდეგ იმან შეიტყო, რომ მისი ჩამომავლობა მომდინარეობს ვაჩნაძეებიდან. ყველა ეს დაამტკიცა, მოინათლა და თავადობა მისცეს რადგან ვაჩნაძეები ყველანი თავადები არიან. ამის მაგალითით ცოლ შვილი მოინათლა აგრეთვე მისი ბიძაშვილი, რომელსაც დაარქვეს გიორგი ვაჩნაძე. ამათ მაგალითით მთელი გვარი უნდა მოინათლოს. მაშინ აქ დასჭირდებათ ეკლესია რომელიც უკვე არის ძველადგან მშვენიერათ შენახული. ბევრ ბელოქნელს ახლა სურს მოინათლოს, რადგან იგინი გრძნობენ, რომ მათი დედ-მამა ქრისტიანი ქართველები ყოფილან, იგინი კი მუსულმანნი.

„—აბა ჩვენ იმ დუნიაში, როგორ ვეჩვენებით ჩვენ დედ-მამებსაო! მითხრეს ერთხელ რამდენთამე ბელოქნელებმა, რომლების ურმით მე მივემგზავრებოდი ზაქათალისკენ.

(გაგრძელება)

ახალი საუკეთესო წესები და გამგეობა თავის სახელმწიფოში. გაიხსენეთ ამასთანავე ორი ამის დამამტკიცებელი გარემოება: ერთი ის, რომ ხანთქარმა შეუთვალა მითხად-ფაშას, ინგლისის რეფორმის პროექტები შემოიღოს სირიაში და მეორე ისიც, რომ ამავე რეფორმების შემოღებასაც აპირებს მცირე აზიაშიაც.

„ეს ყველა გარემოება გვარწმუნებს, რომ ინგლისის გავლენა ოსმალეთში ამ ჟამად ყოვლად-შემძლებელია.“

## საფრანგეთი

პარიჟის გაზეთებში დაბეჯითებით იწერებიან, რომ მომავალ იანვარში, როდესაც სენატორების ამორჩევა გათავდება და რესპუბლიკურ პარტიას სენატშიაც ხმის უმრავლესობა ექნებაო, იმ წამსვე ახალი სამინისტრო შესდგებაო და ამ სამინისტროს თავს-მჯდომარედ გამბეტტა დაინიშნებაო. ამბობენ, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი მაკ-მაჰონი, რადგან მეტი არ გზა ექნება, დათანხმდებაო, რომ გამბეტტავს სამინისტრო შეადგინოსო.

— გასული ღვინობისთვის 30-ს დაიხურა პარიჟის მსოფლიო გამოფენა. ამ ნაირად, გამოფენა იყო ექვს თვეს და ამ ხნის განმავალობაში იმას შემოუვიდა ხალხის შესასვლელი ბილეთების ფული—სულ 12,654,000 ფრანკი, ანუ თვეში ორი მილიონი და ასი ათასი ფრანკი.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პარიჟი**, 14 ნოემბერს. გაზეთს „Temps“ ტელეგრამმით სწერენ რომიდან. მაზრებში სოციალისტების მოძრაობა კიდევ არ დაწყნარებულა. ოსიმობლიცის მუნიციპალურ რჩევაში რომ ადიუნკტი ანკოტი იმყოფებოდა ის ხანჯლით მოჰკლეს.

**სარაგოსა**, 14 ნოემბერს. საზოგადო-მშვიდობიანობის დამარღვეველს საზოგადოებას თავს წაატყდენ და ამის გამო ბევრი კაცი დაიჭირეს.

**ვენა**, 14 ნოემბერს. სამოქალაქო ღუბერნატორის გუსეინ-ფაშის მაგიერათ ალბანიის სამხედრო ღუბერნატორათ დანიშნულია ბათუმის დამცველი დერვიშ-ფაშა.

**პეტერბურღი**. ხმა არის, ვითომც ღენერალის მეზენცოვის მკვლელი შეიტყნიათო.

**ლაგორი**, 14 ნოემბერს. ალიმეჯითში დახვედრიათ ბევრი დაჭრილი და ავათმყოფი ავგანელები უნახავთ. გეროუნის დივიზია მივიდა ლუნდიხანს და შემდეგ დანს ავღანელებმა დააგდეს ეს სიმაგრე, მცხოვრებლები წინააღმდეგნი არიან გამოქცეული ჯარებისა და ემუქრებიან.

ხმა არის, ვითომც ჩელოგბათი დაუგდიათ ავგანელებს და ყანდაჰარიდამ ქაბულისაკენ.

**ლონდონი**, 14 ნოემბერს. ღენერალს შედოს მიწერილობა აქვს, რომ წავიდეს ლავოს ლიტტონთან მოსალაპარაკებლათ, თუ რა მდგომარეობის მიღებას აპირებს რუსეთი, ან ჩინეთი რა დამოკიდებულებაში იქნება რუსეთთან.

**კაშგარი**, 14 ნოემბერს. წარსულს ღამეს ლამბურლის ფოჩტის გემი „პომერანია“ დაეტაკა მეორე გემს ფოლკატონის მახლობლათ და ჩაძირა; 50 კაცი დაიღუპა.

# განცხადებანი

იქავ ისყიდება იმისივე

## „იგავ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.

**ფასი ორი შაური.**

# ქართული თეატრი

**პარასკევს, 17 ნოემბერს**

ნემეცების კლუბის ზალაში, გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლებში.

**ქართული სცენის სასარგებლოდ**

იქმნება წარმოდგენილი

## „მე მინდა ქნეინა გავხდე“

კომედია ორს მოქმედებად ზ. ანტონოვისა

და

## „ახალ-მახალი ცოლ-ქმარ შუა“

ვოდევილი ერთ მოქმედებად, ნათარგმნი რუსულიდამ.

წარმოდგენის შემდეგ ტანცაობაც იქნება.

**ანტრაქტებში სხვა-და-სხვა სცენებს წაიკითხავენ.**

ბილეთები იყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და წარმოდგენის დღეს თვით ნემეცების კლუბში.

(2—1)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 5 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 15 ნოემბერს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 50 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 6 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 7 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 8 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 40 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | — |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 40 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 50 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| — ცხვრისა, ლიტრა . . | — | 81 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 80 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 40 |
| — ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ჩითი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 60 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და გარალევიჩი — შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგ. ა. ბ ხუტოვი — საბებიო და ბავშვის, პეუნოვი — თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 15 Ноября 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი